



კვირა, 4 ივლისი

ფასი 10 კაპ.



მუსიკოსი გ. ი. ნატრაძე
(† 1 ივლისს 1910 წ.)



№ 26

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. Тифლის. Редакция «Театри да Цховреба»

Иос. Зах. Имедашвили ხელმოწერილი წერილები არ დიბეჭდება. — ხელთნაწერები საპირობებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. ტ. საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862

№ 26

კ ვ ი რ ა , 4 ი ბ ლ ი ს ი

1910

რ ე დ ა კ ტ ი ა დაბეჯითებითა სთხოვს ხელის მოწერელთ: ფულის გამოზავნა დაჩქარონ.

4 ი ბ ლ ი ს ი 1910 წ.

დამსხვრეით სული- პოლიტიკურ-ეკონომიკური ბორკილნი. ურმა პირობებმა თავისი გავლენა პოეზიასა და ხელოვნებაშიც გადაიტანა... შექმნა თავისებური კარჩაკეტილობა, სექტანტობა...

თითქო ხელოვნებაში, პოეზიაში რავედენიმე „ქეშმარიტება“ იყოს; რავედენიმე „სიმართლე“, — თითქო ერთი და განუყოფელი არ იყოს ჭეშმარიტება და ყოველი ქეშმარიტი მხატვარი, პოეზიის ნამდვილი ქურუმი ერთსა და იმავეს არ ემსახურებოდეს...

მაგრამ რაც უნდა ბევრს ეცადონ აზროვნების მებორკილენი, აღამიანის სულს მაინც ვერ შესწურთავენ, ვერ შეპობრავენ აღმაფრენის მისწრაფებას...

დაე, იყოს პარტიულ-შოვინისტური განკერძოება, ხელოვნების ლეთიური ცეცხლი მაინც მოსპობს ამას.

დაე, იყოს ეროვნულ-შოვინისტური მიდრეკილებანი, საერთაშორისო უმაღლესი სულის მატარებელი იღვა მას მაინც დააცხრობს...

დაე, იყვენ აღამიანი წვრილმანნი, ურთიერთისადმი შურღვარძლიანობით შეპყრობილნი, პოეზიის ზენაარი შექმენენ სხივი მაინც ყოველთა ქენა ვნებათ დაამზობს...

ნახევარი წლის წინად ჩვენის ყურნალის პირველ ნომერში, სხვათა შორის, ვამბობდით: ... „რომელიმე განკერძოებული პარტია, წაღება ჩვენთვის არ ასრულებს, — ჩუენი რწმენა ხელოვნების უმაღლესი მოთხოვნილება-მისწრაფებათა დატვა და

განვითარება იმდენად, რავედენადე იგი ხსლხთა შეერთებას, მადღებასა და მათ შორის სოლიდარობის განმტკიცებას ემსახურება“...

აწცა თამამად განვავარძობთ სვლას არჩეული გზით იმ რწმენით, რომ ვისაც გულში უღვივის მცირედი ნაბერწყალი მაინც ლეთიურის გრძნობისა, შევნიერებისა, სიყვარულისა, უმაღლესისა, წამებულ სულის ზემადღებობისა, თავის ხმას კლავცა შემოგვიერთების ძლიერის ნაკადის შესაქმნელად...

ღროა—ვისაც ჯერ კიდევ არ შეუგვინა შეიცნობოს, რომ აღამიანთა ზენობრივ-გონებრივად დაწინაურებაში პოეზიისა და ხელოვნების სამეფოს უაღრესი ადგილი უკავია და მუნ ყოველნი—„გინა ებრაელი, გინა ქრისტიანი, გინა მამაღლიანი“—ერთნი არიან, სხვადასხვა შტოს მქონებელნი...

ჩვენი ორგანო არ არის ორგანო რომელიმე სექტანტურ წრის, ანუ პარტიის კუთვნილება: ნურც ვისმეს ჰგონია აქ ადგილი მოიპოვოს თავის კერძო ქადგებათა გავრცელები სისთვის...

ჩვენი მიზანი უმაღლესია, სეტაკი... ვინც პოეზიისა და ხელოვნების ქეშმარიტი მსახურია, ნამდვილი ქურუმი, ჩვენთან იქნება და ხელს შეუწყობს აღამიანთა სულიერ ბორკილების დამსხვრევას!..

—:—

ჭეინეს სიმღერებიდან

როცა შენ წელზე მკლავით მომეკლდე, სულმა დამტოვა, — ცად აღეტყორცნა... მე დაგეკანე და შენთა ბაგეთ ვნებით ამოვსკვენ ნეტარი კონცა!

ბაბილინა

ნამღვილი ანგაპი

ნ ი ა ლ ე ა რ ი

ჩემი სახლის აივანში დიდი ხანია მერცხლები ჰპულაობენ და, რადგანაც ხელ-შემშლელი არაფერია ჰყავთ, მრავლდებიან. ვაზაფხულის პირად რომ ჩვენ შივე ცხელი ქვეყნებიდან ბრუნდებიან, ძველები ისევ შარშანდელ ბუდეს უბრუნდებიან და ახალ ბუდეს მხოლოდ შარშანდელი ბარტყები იკეთებენ. ასე მიდის იმათი საქმე წლიდან-წლამდე ხელ-შემშლელად. მხოლოდ წელს-კი, 1910 წელს, უჩვეულო რამე მოხდა: ერთი ქიკვივი ჩაებარა მერცხალს ბუდეში, მოიკალათა და შიგ მერცხალს აღარ უშვებდა... იკორტებოდა. მეორე დღეს მოპფირინდა მერცხლის გუნდი, ყველას ტალახი მოჰქონდა პირით, დაუწყეს ბუდეს გალესა, ასე რომ, თუ ქიკვივი არ გამოფრენილიყო, შიგ ბუდეში გამოიხრჩობოდა... მაგრამ რომ დაინახა, აქ ხუმრობა აღარ არისო, როგორც იქნა გაასწრო. იმ საღამოსვე გაჩნდა ქიკვივის გუნდი და დაერია მერცხლებს. შეიქმნა ერთი წვილ-ქვილი. პაერში მერცხლები სჯობნიდენ, რადგანაც ბრტყალს გაჰკარადენ ხოლმე მაგრამ ბუდეში-კი, რაღაი შეასწრობდენ და კორტანზე მივარდებოდა საქმე, ქიკვივები იმარჯვებდენ. ზოგან ბუდეებიც-კი დაანგრის. გამარჯვება ქიკვივებსა რჩებოდა, მაგრამ მე ჩავერიე გამშველებლად: ქიკვივები აღარ შემოეფუშვი აივანში. დავინახავდი თუ არა შემოფრენილს, მაშინვე გავდევნიდი ხოლმე. სამი დღის განმავლობაში ყოლიფერი მიწყნარდა და ჩაღვა თვისევე წეს-წყობილებაში. მეც დიდხანს აღარ დაერჩენილვარ ჩემ სახლში.

მეორედ რომ დაებრუნდი, მერცხლის ბუდეები გამრავლებული დამიხედა: სადაც ერთი ბუდე იყო, იქ მეორეც ზედ მიეტყულებიათ მისთანავე და ცალში რომ მერცხალი ბუდობდა, მეორე ცალში ქიკვივი დაბუდებულიყო. ვინ ვაარბა? ან როგორ მორიგდენ ეს სხვა და სხვა გვარის ფრინველები? და ან მერცხლებმა რად გადიხადეს კონტრიბუცია და გაუკეთეს ქიკვივებს ბუდე?

როცა მზე მწვერვალს გადმოანათებს და სხვის დაადნობს თოვლიან მთაზე, უცდავება მაშინ მნათობის მშვენიერება და სილამაზე. მაგრამ როდესაც აღქაფებული ზვირთი გზას ურხევს მომსკდარ ნიაღვარს— ვინ გამოხატავს ამ მრისხანებას, რა სული შექმნის სტიქიას ამ გვარს? დადნე სხივი, სულო ციერო, ამ გაცივებულს, ნაღვლიან გულზე, ტბილი მორვეი შემოგუბდება ჩვენს ყვავილებზე, ჩვენს სიყვარულზე. და თუ ოდესმე, ვით ნიაღვარი, გულის სიღრმიდან გრძნობა მოსკდება, ვფიცავ, რომ მევე მომკლავს, დამლუპავს ჩემივე ნაღველი, ჩემივე ოცნება!..

გ. ტაბიძე

წინად და ახლა

წინად გისვამდი გულში; იქ სურნელება გიტბობდა ყნოსვას; შენს სილამაზეს ვარს ეხვევოდა ვარდებიანი ტრატები; ზვიდიან ვარსკვლავი დაგთამაშებდა; შენ გიშლეროდა ბულბული... ჩემს გულში.

წავიდა დრო. ნისლმა და სუსხმა ძირი ამოუგლო ვარდისა ბუჩქებს; გამზმარ, დაცივებულ ყვავილებს დაუკარგა სურნელება, ვარსკვლავი ჩაქრა; მიყუჩდა ბულბული; ყვებლფერი მიჩუმდა, სწყუხს, ჩუმად კვნესის... ჩემს გულში.

მაშ, ახლა. წადი! ეძიე სხვაგან ისევ ვარდები, სტევნა ბულბულის; ისევ ვარსკვლავმა გიუტროს თრთოლით, ისამანი შემოგვხვიოს! შენ არ მიდიხარ? არა?!

ეჰ, იყავ ჩემთვის თვით შენ ვარსკვლავი; ჩემის საფლავის ბულბულად იყავ; ყვავილს ბუჩქად შემოგხვიე... მაგრამ დაქცენდი, როდესაც მკვდარსა ჩამმერავ სულსა უცდავებისას; მაგრამ დადნები, როცა ვერ ნახავ შენთვის საჭირო ჰაერს, მიდამოს სიმღერა-სინათლეს.

არა! არა მსურს! წადი და შეგრჩეს, თუნდაც შორს ჩემგან, ეგ მიყვირო შენი მშვენება! კიდევ არ მიხვალ? არა?!

მაშ, ისევ სანთლად შენ წინ დავდენგი; ყვავილს ვიშვოვი მყინვარის თავზე; ბულბულის სტვენას მოვასმენინებ... ისევ ჩემს განახლებულს გულში.

წ. ლორთქიფანიძე

ღამით

ოჰ, რა რიგ ბნელა!..

იქ კი, იქ შორს აღმოსავლისკენ
რა არი ნეტა რომ სხივივით ციმციმებს, კრთება?
თითქოს ყვავილთა ფშვინავც ისმის მთის გადღმისკენ,
თითქოს საღბინოდ, სასიციოცხოვრებლად მებატყეება!
ოჰ, აქ ვით ბნელა!..

გული მაინც რომ არ ღონდება?
ჩუ! ვგონებ კიდევ შევებით თრთის, ლაღად ატოკდა;
დახე, განვლილი გაქირვება არ აგონდება,
კვლავ იმ გრძნობით ჰფეთქს, რა გრძნობითაც ოდესღაც თრთოდა...
სინათლეს ეტრფის...

ოჰ, აქ კი ბნელა!..

მაშ ვინ არი ამ უკუნეთში
იმ მწვერვალთან რომ მეძახის ასულის ხმითა?
ცხოვრების გერსა არ მასვენებს თვით ჯოჯოხეთში,
ჰაეროვანსა კოცნას მიძღვნის, მეტრფის გრძნობითა.
— შემიყვარეო, მევედრება...

ბნელეთის შვილი თუ იქნება?..

მაგრამ ჰა, აგერ,
ჩემსკენ მოიღტვის... ვგონებ კიდევ მიახლოვდება!..
მომძმეთ ესთხოვ შეველს და... ამაოდ... ამაოდ გავსტკეპრ...
მხოლოდ ნიაფი, მთის ნიაფი მეჭურჩულება.
სახეს მიკოცნის,—

ის კი...—სხივს მტყორცნის!..

აქ, აქ რომ ბნელა?..

— „ხა, ხა, ხა, ხა, ხა!“—ვაჰმე, ეს ვინ გადიკისკისა?
შეხეთ, ჰა, შეხეთ ვინ ყოფილა!—ასული ცისა!
მხარ-ბეჭებზე სცემს მშვენიერსა გიშრის დაღალი,
თავისუფლების შვილი არი, იცით?—მზე-ქალი,
ჩემი ღვთაება!..

შეშფოთდა ბნელი...

ოჰ, ვით დაფთხენ ევ სიკოდავნი
ბნელეთის შვილნი... მათ ეშინიათ... სიკოებში იმალებიან...
მე კი სატრფო მყავს... ჰა, ელავენ ლამაზნი თვალნი,
მთის გადღმით კვლავ, კვლავ, ახალნი სხივნი კრთებიან,
შლიან თვის ალაშს...

მეც ვუძღვნი სალაშს!..

რათა?.. ოჰ, კაცნო, საცოდავნო, რა სულელნი ხართ
აბა უსხივოდ, უსანათლოდ თქვენ რაღა ღირხართ?..
ის მზეთა-მზეა... პირველ სხივის მღვე-თან მოშყოლი,
მას ქვეყანაზე არ ჰყავს მზგავსი, არა ჰყავს ტოლი!
და... კიდევ მოიღს...

გსურთ გითხრათ როდის!?

აი, ამ შავ წყვილადის ნაცვლად
სისხლით შეფერილ, გულ-გატრეცილ ცხოვრების ცაზე
მზე რომ ამოვა!..

ნ. ჩხიკავაძე

ეპიკურიზმის

სერგეი მაკოვსკის წერილიდან

(გაგრძელება იხ. „თეატ. და ცხმ.“ № 25)

როდესაც მორალურ თვალ-საზრისით შევხედავთ ისტორიულ ბედის გარდღვევაობას, ძალაუფლებურად, ჩვენზე საკციელისა და გაუგებრობის ფარგალში ვიწყვედებით. ჩვენს ზურგს უკან ყოველივე ინგრევა. თითქო განმარტებული აჩრდილები ვართ. ორ უსაზღვროების შუა ვიწყაფებით—მკვდარ წარსულისა და არ არსებულ მომავლის შორის. ვეძებთ და პასუხი კი ვერ გვიპოვია. რად არის, რომ საუკუნეთა კანონი სხვა და ზნეობრივ სინდისის სხვა?

რად არის, რომ ჰემმარტებისა და სიკეთის ძებნაში, ჩვენ— იმ მორალით აღზრდილებს, რომ უნდა გვეზიზღებოდეს სიკრუე, სიმდიდრე და განცხრომა—ბოლოს ასეთი რწმენა გვეპაღება, საუკუნოებაში, მარადისობაში მხოლოდ განგებ შეთხზული, მხოლოდ განცხრომისათვის შექმნილი ფუფუნებაა უფრო ძვირფასი და სანეტარო?

ან და რად არის, რომ, როდესაც ჩვენს ცხოვრებას ესტეტურ თვალ-საზრისით შევხედავთ, როდესაც გვინდა, მშვენიერების საშვალეებით გამოვარკვიოთ საიდუმლოება ჩვენის სულისა, სწორედ მაშინ სხვა ფარგლის საზღვარში ვვდებით ხლომ?

გონებისა, სინდისისა და ნების საკითხებზე მშვენიერება პასუხს არ იძლევა. მშვენიერება სიჩქარისათვის არის, საოცნებოა. მაგრამ სიჩქარისა და ოცნების მწვერვალი კი სიკვდილია. ცხოვრებას ზნეობრივ საფუძველს ვერ წაართმევ; დაღვება ისეთი დრო, როდესაც არაფერს არ ექმნება ფასი, ყოველივე სულ ერთი იქმნება და უგზურება კარებზე მოგვიკაკუნებს.

უმრავლესობას, ხელოვნებაზე მოლაპარაკეს, არ ესმოდა ამ დიდიღემისა. ამიტომაც მუდამ ერთი მეორეში რვედნ ორს არსებითად შეუფარლებელს დასაბამს, დასაბამს ცხოვრებისას, მორალურს, დასაბამს ნებისას და დასაბამს შემოქმედებისას, ესტეტურ მისტიკისას.

ეს გაუგებრობა შეიძლება სქემატიურად სამის ფორმულით გამოისახოს.

„ხელოვნებას უნდა ჰქონდეს საბოლოო, ეთიური მიზანი; თუ არა და მაშინ იგი ბოროტებად იქცევაო“, ამტკიცებენ რელიგიისა და ზნეობრიობის სახელით მორალისტები ყველა დროისა. ასკეტები და სტოიკები ან მისტიკები, ქრისტიანები და წარმართები, ყველანი ერთნაირად უარყოფენ ხელოვნებას, როგორც მიზანსა და უარყოფენ პიროვნების სიწმინდის შეუბღალველობის სახელით.

„ხელოვნება სასარგებლო უნდა იყოსო“. ამას ამბობენ უტილიტარისტები და ხელოვნებას, როგორც მიზანს, ისინი უარყოფენ სოციალურ ბედნიერების სახელით.

„მშვენიერება სძლევეს ზნეობრივისაო. გარეშე მშვენიერებისა არ არსებობს არავითარი მიზანით. ყოველივე ნება-დართულიაო“— ამტკიცებენ ესტეტნი და მზად არიან, რომ მშვენიერების სახელით ყოველგვარ უზნეობას გამოეყარჩონ.

მაგრამ სამივე ეს ფორმულა შეუწყნარებელია. არც ერთი არ არის მართალი.

ხელოვნება ზნეობრივ მიზანთა მიმღვეარი, ხელოვნების უარყოფა მორალის სახელით— დიდი გაუგებრობაა.

ხელოვნება ზნეობრიობის გარეშე იწყაფება. მშვენიერება და საჭიროება შეიძლება ერთი მეორეს შეეხნენ ჩვენს გულში; მათ ბრძანებათა შეჯახება ხშირად აუცილებელია. მაგრამ გადაღებაზე თუ არა საზღვარს პირად ჩვენის არსებობისა და შეფასებისას— ორივენი ერთი მეორეს შორდებიან და უცხონი ხდებიან. როგორც ორი თავის თავადი, განსხვავებული სავანი, სულ სხვა და სხვა ზომისა და ღირებულებისა.

სოციალურ ბედნიერებისა და სარგებლობის გულისათვის, რომ ხელოვნებას გვირგვინი ავხალო, ეს კიდევ უარესი გაუგებრობა იქმნება და მით უფრო უცნაური, რომ, ესე ვითარი, გულისხმობს საკითხის გადაწყვეტილობას, იმ საკითხის, რომლის გადაწყვეტაც, გადაჭრა არ შეიძლება. ეს გახლავთ საკითხი კაცობრიობის საბოლოო მიზანისა. **შალვა დადიანი**



მე და შენ

(წერილის ნაგლეჯიდან)

ჩემო მოყვარულო!..

ხომ გახსოვს ის ნეტარი დღე, როდესაც ჩვენ ასე ძლიერად გვიყვარდა სამშობლო და ჩაგრული ხალხი.

აქი ჩვენც იმათი პირშო ვიყავით, მათ ძუძუზედ აღზრდილი...

...და მაშინაც კი, როცა ასე ძლიერად გვიყვარდა ერთმანეთი, გვწყურდა ხალხის სამსახური და სამშობლოსათვის თავგანწირვა.

ჩვენ ამაზე ხშირად გვილაპარაკნია.

ერთმანეთს გაუბედობასა და თავგამოუდებლობას ვუკვირებდით...

„რა, რა უნდა იყოს ჩვენთვის ერთმანეთის სიყვარული, თუ არა ხალხი, თუ არა სამშობლო?... იყოს წყევული ის, ვინც საკუთარი ბედნეერებისათვის“.....

მაგრამ დრო გადიოდა...

მე შენი თვალები შემეყვარდნენ და მიწადა მუდამ მეტკირნა მათთვის.. აქი შენც გიყვარდი. შავს თვლებში გამჩნედი... ორივეს გვიყვარდა ერთმანეთი...

მე და შენ...

...და მაშინ, როდესაც სამშობლო განსაღდეღში იმყოფებოდა და ტანჯული ხალხი ბოროტების მსხვერველს შეუდგა, მითხარი, რა იყო ის ძალა, რომელიც მაშინ უფრო გვაახლოებდა, მჭიდროდ გვაკავშირებდა ერთმანეთთან?..

მითხარი, რა იყო ის ძალა, რომელმაც ზურგი შეგვაქცევინა სამშობლოს მომავლისათვის და ტანჯულ ხალხის განთავისუფლებისათვის?..

რა იყო ის ველური, უღრეკი ძალა, რომელმაც ყველაფერი დაგვაიწყო გარდა „მე და შენ“ისა?..

მიპასუხე, ჩემო მოყვარულო...

რა იქნა ის ამაყობა, თავგანწირულება, სიმბნე, ის გმირობა, რომელიც მუდამ თვალწინ გვცხატებოდა წმინდა მიზნად მე და შენ.

რამ დაგვაიწყო ასე უეტრად ჩვენი, ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გზა? რამ?!

ნუ თუ?...
.....

მაგრამ... მე და შენ სინამდვილემ შეგვაშინა, ჩემო კარგო. მე და შენ თურმე სხვა არაფერი გვინდოდა...

მე მიწადი შენ...

შენ გწადი მე...

მე და შენ...

და ყველა სხვა თავის გასამართლებლად **შევთხოვეთ.**

არაბრალად შეგქმენით... და განა ჩვენ ღმერთი ვიყავით?... არა!.. და ამიტომაც არა-რა გამოდგა... „არა-რა“...

უნდადავოდ შეთხოული დაირღვა... ილღორუხები დაიმსხვრა... ბურუსი გაიფანტა და... ღმერთო ჩემო, რაბრავად შეგძრწუნდი და შევეკრით, როცა ის...

...ტიტველი სინამდვილე დავინახე...

რა საშინლგბა იყო...

...ჰორიზონტზე მხოლოდ ჩვენლა ვჩანდით, მაღლა მკლავებ გადახლართული, ბაგვებ დაკონილი, მთელის სხეულით ერთმანეთზე მიკრული და უზომო ნეტარებისაგან თავდავიწყებული... მე და შენ... ოჰ, რომ იცოდღე ჩემო ძვირფასო, თუ რა საშინელებბაა სინამდვილე...

„დაე, იგრილოს ქარიშხალმა!“...

დაე, წაღეკოს ეს **უკუღმართი**, უმიზნო, უაზრო ცხოვრება და... ჩვენ გამოგვიმწყვდიოს ქვეშ...

გამოგვიყენოს საძირკველად.

მე და შენ.

ახალი ცხოვრების საძირკველად...

მისთვის არა ერთის თავზე დაღმგულაკლის გვირგვინი. ჩვენც სამუდამოდ ჩვიკლავთ გულშე ჩვენი მხურვალე სიყვარული.

ამ ახალ ცხოვრებისათვის...

ჩვენი ცხოვრება და სიყვარულიც ზვარაკად შეეწიროს მას...

მე და შენ...

აკაკი პაპავა





ბრიფონ რამიშვილი

საბელისწერო ღამბარა *

ღამბა სამ მოქმედებად

წარმოსადგენად ნებადართულია *Отз. Книг.*
№ 23397—1908 წ. 24 ნოემბერი

მოქმედები:

- | | |
|--------------------|-----------------|
| თავადი ელფფთერ | ქნ. ციციონი |
| რეზ. ექიმი | თ-დი იულონი |
| ხვარამზე | თ-დი მელიტონი |
| როდამ | შვილნი ანდრო |
| რინსე | ტიტო (ახლოვანდა |
| ფილაპე | შაქრო (თავადნი |
| თ. მანუჩ. გალოგრა- | მახარობელი |
| ვგვინი კორდელი | გლეხი |
| ზალიკო | სტუმარნი |
| | გლეხები და სხ. |

მოქმედება პირველი

სტენა: ამწყნებული ეზო. მარჯვნივ ქვის სს-
ლის წინა მხარე აფნით. მარცხნივ—ბაღი. ზირ-
დაზირ მესერა. შუაში ზატარა ტიშკარა. მესერს
იქით მობაბინე ველ-მინდარი, თოვლით დაფენილი
შინს შიშვერვალუბი და მოჩუხჩუხე მდინარე. მესერს
გადაღმა მარჯვნივ ზატარა ბაღიკი სთფ. ხარტეა-
ნისკენ. მარცხნივ კი—შარა-გზა. შუა სტენასზე
გრძელი და კონტა მკადა, სუფრა გადაფარებული,
იზრეული რავდენიშე სკამი და ერთად სავარძელი.
აივანს მოზრდილ ქილებში ჩადგმული დომინის
ხეები ამწყნებენ. მკადაზე დგას ერთი შნოანი
დოქი წყდრთ და წყრალი მადალი ბაკალი თავისი

* ამ ბივისის ნაწილი დაიბედა ჟურ. „ფასკუნჯ-
ში“ რადან ჟურნალი შეჩერდა, ახლა სრულად გმეკლად
„თეატრსა და ცხოვრებაში“.

ავტ.

ღამბაქით. ფარდის ასდისს კულისებინდს მოსისმის
როდამის ხმა: „გადაეცი, ამ დლით მობრძანდა
თქო, გასწი ნუ გეშინიანს. არსს გერჩის“.

I

როდამი შემოდის მარცხენა მხრიდან. გამ-
დარი; დაზრსწული მოხუცი, აგვია თაღნი ჩითის
კაბა, ჭადარ თმებს შავი ცასტი უფარავს. ხელში
მოზრდილი თაიგული უჭირავს და კანვერტში ჩა-
დებული წერილი. **ხვარამზე** გამოდის იმვედრთს
სახლიდან. თავადის სხული, ტურთვა მიხვრა-მიხვრა
და ღამბარეი ნახი-ნარნარი, აგვია შნოანი ვერ-
ხიული ტანისმოსი.

ხვარ. (რადამს) ჩემთან მოგაკეცს?

როდ. ჰო, ჩემო იაღრო. შენს ელიზბარს
გამოუგზავნი.

ხვარ. (ჩამოართმევს სსზე-გაბრწენიებული) მო-
მტანი წავიდა? ბასუხს ხომ არ ელის?

როდ. მკითხა: „ჩრებიკო თუ მობრძანდაო“,
და წავიდა. (გადას)

ხვარ. (თაიგულს დაჭყნისავს და მკადაზე დებს.
მერე წერილს გასწისს და ნახი დამიღით ჩათავა-
ლიერებს) ჩემო შევარდნო! (ციოხუღალბს თა-
ვისთვის, ცოტა ხნის შემდეგ) ოჰ, მეც შენი ვარ,
ჩემო ბედის ვარსკვლავო, ჩემო სწორ-უპოვავ-
რო და საღერეო ელიზბარ! (წერილს ფაქისხად
დაკეცს და უბეში ინახავს. მერე თაიგულს ავლავებს
და გულზე მიხუტებს)

II

იგივე და როდამი

როდ. (გამოდის მარცხნივ მხრიდან. შემოაკეცს
მოზრდილი ჭიჭი, დოქიდან წყაღს ჩამოსახმს, თაი-
გულს ჩამოართმევს, დგამს ჭიჭიში და მკადაზე
დადებს). აი, ახლა კი აღარ დასტკენება შენი
თაიგული.

ხვარ. (ავლავებს მს ტუქებში)

როდ. (ხვარამზეს) გაიღვიდა?

ხვარ. ჰო, პირიკ დობანა და ახლა ბარგს
აღავებს. საცაა გამოვა კიდევ.

როდ. ძლივს, ძლივს ჩავიდვით ხელში და-
კარგული კაკი. მისი ქირიმე! რა მენატრება...

ხვარ. (ღანჯ გათქმული) როგორ, --ჯერ
ვანა არ მისაღმებინარ?

როდ. მოსვლისას არ მეცალა. შორიდან
მოეკარ თვლი, მანამ მოვრჩებოდი, ჩასძინე-
ბოლა კიდევ, როგორ არის?

ხვარ. გამხდარა. ავად უნდა იყოს.

როდ. სხვაფრივ ნურა დაუშვებდებარა, თორემ მაგას ადვილად ეწამლებია. თუ ამ ზაფხულს ჩვენთან გაატარებებს, პირობას ვაძლევ ბურჯავივით გავასაქო.

ხვარ. მართლაც უნდა ვილონათ რამ, თორემ მისი მიმქრალი თვალები კარკს არას გვიქაღიანა.

როდ. ნუ გეშინიან, გენაცვალე, ნუ გეშინიან!

ხვარ. ყველა იმის შემდეგ მოდი და ნუ შეგეშინებდა. ეს ერთი ძმა და შემრჩენია ღ თუ...

როდ. ხვარამზე! ნუ იცი ხოლმე ეს გაზვიადება! გახდა? რა ვუკეთ მიერ? ალბათ დიდ ჯაფას დაუქანცავს. მაშ ეს სახელი და საყოველთაო სიყვარული ადვილი საზოგნელია? უფჯობდისა ეს შავი ფიქრები გადაიყარო გულიდან.. სიხარული გმართებს, ქალო, სიხარული! მოგივიდა ძმა, რომელიც შენს საქმეს გაზარხავს და გაგაბედნიერებს.

III

აგინივე და რეზიკო

თავ. რეზ. (გამოდის სხსლიდან. 28—30 წლის სიმამრული სხის კაცია. ატვია შნთან ევროპული ტანისმოსია. მარჯვენა მკლავზე სმაგლოფარო ლენტო აქვს გადაჭრული. თვალებზე ოქრას ვარჯიანი ჰუნსნე)

როდ. შენი ჭირიმე! ამას რას მოვესწარ! (გაქმნება მისკენ, მაგრამ შეტრფოვრადაც წაჭრავს ფეხს და ჩაიხიქებს. რეზიკო და ხვარამზე მოუშელებიან და აყენებენ. რადამი მას გულში ჩაერთვს)

რეზ. ჩვენი ვაღია, ძვირფასი როდამ! ძლიერ იტკინე ფეხი?

როდ. ოღონდ შენა მყვანდ კარგად, თორემ ეს გახრიკებული ძელები მეწყერსაც წაუღია.

რეზ. (ასე-დასედას) სხვა? როგორ გიკითხო? როგორ ცხოვრობ? რას იქმნიან შენი ზაფრის ქარები და სიგრილ-სიფიცხე?

როდ. ოჰ, შენ კი გეთაყვანე მაგ ჩაქათ-ქათებულ კიქებში!

რეზ. ღმერთო ჩემო! ეს ადამიანი რაც დრო მიდის, მით უფრო ყოჩაღდება.

როდ. ოჰ, სიყოლიე კი არა, სულს კბილით დავათრევ. ვეშუღარები იმ დალოცვილ ღმერთს

საიქო მოსვენებას, მაგრამ მაინც არა მეშვლა რა, სჩანს დამივიწყა..

რეზ. მოესწრობი მაგასაც.

როდ. მაშ ვისთვის რა გამოსადეგია, შევილო, გამოშტერებული დედაბრის სიკოცლევ..

რეზ. შენი სიკოცლე გეჭირა ჩვენ (ხვარამზე შეუთითებს) და ყველა შენიანებს. დედაჩემთან ერთად შენი სახეც თვალწინ მედგა მუდამ. ხან-დან-დან დიდი მწუხარების დროს მაგონდები და სიამონებით შევსება გული. ვინ იცის, რადენი ტკბილი მოგნება შენს სახელთან გადახლართული. (შუბლზე მიიღებს მარჯვენა ხელს და ტკივილისგან ოდნავ დადრეკება)

როდ. უი მოგიკვდეს ჩემი თავი. ავად ხომ არა ხარ?

რეზ. ჰო, თავი მტკიცია... მაგრამ არაფერია, მალე გაივლის.

ხვარ. (აშთაოსრებს)

რეზ. (შენისხავს მას და მავა მასთან) ხვარამზე! რათ ამოიხიბე? რამ შეგაშინა? განა ვეკვები, ჩემო კარგო! (შუბლზე აკოცებს) როდამ! ჩვენი მისის ვარდი საარაკოდ იფურჩქნება. (თმაზე უსვამს ხელს)

როდ. (მარჯვენა გადასწერს) იმიტომაცაა რომ ქვეყანა თავს დასტრიალებს, მაგრამ ვერ მივართვი. ენაცვალოს როდამი.

რეზ. როგორ არის თევზების ჯალათი!

როდ. ონისე? ვმადლობ უფალს... ჯერ-ჯერობით არა უშავს-რა.

რეზ. ხომ ისევ ჩვენი მოურავია?

როდ. განა მე და ჩემ ბიჭს უთქვენოდ ბავშვობება?

რეზ. მენატრება. მალე მოვა?

როდ. ბროლიეთში წავიდა წუხელ. საღამომდევრ დაბრუნდება. იმასაც ძლიერ ენატრება.

რეზ. ცოლ-შვილი როგორა ჰყავს?

როდ. კარგად.

რეზ. შვილისშვილი ხომ კარგად სწავლობს?

როდ. (განსე) ვენაცვალე, ყველაფერი ახსოვს. (რეზიკოს) ჩინებულად. თუ მაცხოვარი შენს ნუგეშს არ მოგვაცლებს, ყველანი კარგად მეყოლებიან.

რეზ. მიხარია. სხვა? სოფელში კუდიანს კიდევ გეძახიან?

როდ. გააკუდიანოს ღმერთმა, ვინც მე ეს დამწამა.

რეზ. (ხელს ხარხარებს) როგორ იყო, რომ მოგვიღონეს: „მგელს მოაჯდება ხოლმე და კლდე-ღრეებში დაჯირითობსო?“ (ხარხარებს ხელს)

როდ. შენი ოხუნჯაობის ქირიმე, შენი. (ხვარამხეს) ესეც ჩვენი ავადყოფი. ქალო, ნუ მოგიწყენია. საიბისო არა უჭირს რა. აბა ახლა კი წავალ და სადილის თადარიგს შევეუდებო. (გაღის)

რეზ. (შაპირფხის გაახლეებს, გაიფლის და უეტრეო ხვარამხესთან გაჩერდება) გოგონა! შენმა წერილმა უზომოდ გამახარა, გულიდამ ბინდი ვადამიყარა და რაღაც იმედებით ამივსო იგი. არჩევანი საუცხოვოა, ქალო, თუმცა ის კი არ მომწონს, რომ ასეთი მოჩილი და თვით-მოქმედებას მოკლებული ქალი ხარ. დროა ჩამოყალიბდე. მაგრამ არა უშავს რა. თავის დროზე ყველაფერი გამოსწორდება. მაშ შენი გულის ნადები მამას ძია ვიქტორმა გაუმელავენა?

ხვარ. ჰო, და ისიც ჩემი თანა-დასწრებით. ისე, მოულოდნელად, და ამით დიდი უსიამოვნება მომაცენა.

რეზ. შელაპარაკდენ?

ხვარ. მისთვის ხმაც არ გაუტია, მხოლოდ მე კი ძლიერ დამტუქსა მეორე დღეს და გადაჭრილი უარიც მითხრა. აბა ახლა თითონ განსაჯე, იმ მკაცრი პასუხის შემდეგ რაღა მეთქმის? ვიცი ჩემი ურჩობა მას სიცოცხლეს მოუსწრაფებს და მიტომ ვითმენ.

რეზ. (მოწყენილია გაღმა მხარეს უჭვრეტს) ხარატენში ხშირად დადიხარ?

ხვარ. აბა ვისთან? ერთი ბიძა გვყავდა და იმანაც თავი მოიკლა. განა არ იცი, იქ სხვა ნაცნობი არა გვყავს?

რეზ. უნდა ვახვიდე ხოლმე დრო-გამოშვებით, ჩემო კარგო, ინახულო საფლავი, ყვეფილები მოარწყო, ძველს მტვერი და ჭუჭყი მოაშორო. განა ისე მალე მოკატლდა იმ კაცის ხსენება, ვისი გულიც ჩვენდამი სიყვარულით იყო აღსავსე?

ხვარ. რას უზნა მამას. ბევრჯელ მოვიწადინე, მაგრამ არ გამიშო.—მეშინიან კრული მიღამობისო, და მეც ვერ გავუტუხებ ხათრი, მაგრამ ჩემ მაგივრობას იქ ერთი ყმაწვილი კაცი ეწევა.

რეზ. ნუ თუ ელიზბარ?

ხვარ. (სახა დამიღათ) დააღ!

რეზ. მშვენიერი და საყვარელი კაცი!

ხვარ. რომ იცოდე როგორ გააკობტავა და რა თვალწარმტაცი არშია შემოურგო ირ-გვლივ საფლავს.

რეზ. მეჯერა. კარგად ვიცნობ მის მარგალიტ ხელებს და საარაკოსიფაქიზეს! (თავაგულს ჭქნოსავს)

ხვარ. ხომ არ გშოა?

რეზ. არა.

ხვარ. სადილობას კიდევ ბევრი უკლიო და ცოტას თუ შენაყრდები...

რეზ. არაფერიც არ მინდა.

ხვარ. როგორც გენებოს. (პატარა პაუსა)

რეზ. ძია ვიქტორს სიკვდილის წინა-დღეებში ხომ არ შემოუვლია ჩვენსა?

ხვარ. იყო.

რეზ. შეამჩნიეთ რამე?

ხვარ. დიდი ცვლილება.

რეზ. მაგალითად?

ხვარ. სამიზნად იყო ვაფითრებული და აზრებიც გუნერა. გამოთხოვებისას ორივე ჩავგიყრა ენულში, წულის შემდეგ სასაფლაოზე განადა და იტირა... იმ გულსაკლავმა მოთქმამ კინაღამ შეგეშალა. მთელი სოფელი ყურს გევდებდა სულგანაბული და ჩვენი ცოდვით იმდულდებოდა. მეც კი აღარ მინახავს. ბოლო ხანებში სულ შინ იჯდა თურმე და ოთარაშვილს ვარდა არავის იღებდა. სოფლად ათას ვვარ ქორებს ავრცელებდენ.

რეზ. რაო?

ხვარ. „მთელ დამეებს სასაფლაოზედ ათენებდა და მიცვალებულებს ელაპარაკებოდა“ ანდა კიდევ „მუდამ შებინდებისას მის ეზოში ქინკები იყრიდენ თავს, ძია თარს უკრავდა და ისინი კი ცეკვავდნო“.

რეზ. მე არ ვუხსენებია?

ხვარ. გახსენა გამოთხოვებისას, „გადაეცით რეზიკოს, რომ დამზაჩა მალე მისი საყუთრება იქმნება“. ამის გაგონებაზე მამას მიწის ფერი დაეღო. ოჰ, რეზიკო! რომ იცოდე რაოდენი ტანჯვა მოგვაყენა ჩვენ იმ დამზაჩამ.

რეზ. როგორ?

ხვარ. დასაფლავების მესხეთე დღეს ოთარაშვილმა გამოიტანა ის დამზაჩა წერილთან ერთად.

რეზ. ვის სახელზე იყო წერილი?

ხვარ. მამის სახელზე.

რეზ. შენახულია?

ხვარ. არა. ისეთი სახარელი შინაარსისა იყო, რომ მამამ იმ წამვე დასწვა და ფერფლი ნიავს გაატანა.

რეზ. რა ეწერა შიგ?

ხვარ. აი რა: „საგვარეულო დამბანას ვულტოვებ ჩემს დისწულს რეზიკოს იმ შემთხვევისათვის, თუ ოდესმე თავის მოკვლის განიზრახავსო“. ეს რომ წავიკითხეთ, ორივეს თვალი დაგვებნელდა. მიუხედავად იმისა, რომ ბედისწერისა არა მწამს რა, მაინც შევშინდი. მამა ხომ სულ დაეცა სულით. ეს ოდესღაც გმირი კაცი, რომელიც ვგონებ ლომსაც შეეებოდა წარბ-შეურხეულად, რაღაც მოეშვა, მოიხარა და მანამ ვერ მოისვენა, სანამ ბევრი ვიი-ვა-ვა-ლაბის ჩემდღე ერთ ცხრა-მთას იჭითელ კაცს არ მიაჩნია. ჩვენში ვისაც შეაძლია, ყველამ უარი უთხრა, — „გვეშინიანო!“ და მის შესახებ აკი ყველაფერი მოგწერა? ხომ მიიღე?

რეზ. მივიღე...

ხვარ. იმედია გვაპატივებ და გულშიაც არას ჩაინარჩუნებ, რადგან ყოველივე შენი კეთილ-დღეობისათვის ჩავიღიეთ; გვეშინოდა. გიფრთხილდებოდით. შენ ხომ ჩვენი ხატება და ერთად ერთი იმედი ხარ. გრწამდეს, რომ უშუალო ჩაპქრება ჩვენი ცხოვრების ლამაზი და ოჯახიც დაიქცევა.

რეზ. აბა ახლა ცოტა გავიციინოთ და გზა-გზა შენს საქმეზე მოვილაპარაკოთ. (მიდიან სელი-სელ გაუჩივნი მარცხნივ)

IV

თ-დი ელეფთერი და თ-დი მანუჩარი

(შემოდან სცენის სიღრმეიდან. თ—დი ელეფთერი წარმოსადგეი და დაბაისული მოხუცია, აწვია შვი ჩერქესული ტანისამოსი. თ—დი მანუჩარი სამსახურ —თავდასრებული გუნჯაღას. იმასაც ჩერქესულად აცვია. სმადიც არტეია, ხალა მსრებსე ეზღეუტეპი უბრწინაჟს, სიმკაცრე ემწენეჟ)

თ-დი ელეფთერი. (შემოუძღვება) მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! თქვენი ხილვით ჩემი სიხარული უსაზღვროა.

თ-დი მანუჩარი. (თავს უკრავს) გმადლობ თავადო. სიხარულის მეტი მეც რაღა დამჩენია.

ელ. (მიბრუნდება მარცხნივ მხრისკენ) ფილიპე, ფილიპე! (შემოდის ფილიპე)

V

ივანიეჟ და ფილიპე

ელეფ. (გაიხმობს და სმა-დაბლა ეღაპარაკება. მანუჩარი ამ დროს კარ-მადამის და არე-მარეს ათ-ვალიერებს) გიქე, უბრძანე ჩემს მაგიერ ზაქარიას—სტუმრის ცხენები დაბინაოს, ბაღა-ხი ბლომად! მეეტლეს შეუძებით სახლში და პატრეი ეცით. ვადეცი აგრედე როდამს, სა-დლი დანაქაროს, ამოიღეთ ძველისძველი ღვინო. ვასწი!

ფილ. ბატონი ბრძანდებით. (გადას)

ელეფ. (მანუჩარს) მიგატოვებ განა!...

მან. სამაგალითო კარ-მიდამო გქონიათ, თ-ლო ელეფთერ. ლამის მუხლი მოვიდრიკო ამ ელემის წინაშე.

ელეფ. აზვიადებთ, ბატონო, აზვიადებთ.

მან. არა, მართალს ვამბობ, ამ სამოთხისე-ბურ ხეობისა და ტყე-მინდორ-ველთა პატრონს მართლაც შეუძლიან იამაყოს.

ელეფ. (თავს უკრავს) დიდი მადლობა შენი ქირიმე! (უჩქარებს სავარძელზე) გთხოვთ!

მან. (უჩქარებს თათათ) აი ის ფერდობიც თქვენი საკუთრებაა?

ელეფ. არა. ოდესაც იყო ჩემი. ახლა-კი გლტვებისა, ამ ხუთი წლის წინეთ მუქთად გა-დავეცი.

მან. (აქნება) ხომ არ შეიშალეთ?

ელეფ. როგორ, ბატონო?

მან. თ-ო! რას ფიქრობდით მაშინ, როცა ასეთს მარგალიტს წუნკლებს უფედბდით ხელ-ში? (განსე) „გლტვებს ვადასცა მუქთად“, რო-გორ მოგწონთ ჰა? (ელეფთერს) მავათთვის არა თუ ასეთი დიდებული საუფეჟე, —ხრიოკიც-კი არ უნდა ვაიმეტოს კაცმა, ხრიოკიც!

ელეფ. (მხრებს აჩქებს) რას იზამთ, ყველას თავისი საზნო აქვს. უნდა მოვახსენოთ, მე უკიდურესი ფერადლი არასოდეს არა ვყოფილ-ვარ და გლტვებსაც არა დაუშავებიათ რა ჩემ-თვის.

მან. მთელი ჩვენი უბედურებაც მაგაშია სწორედ. არა, ბატონო... პირში მთქმელი კა-ცი ვარ და ნურას უკაცრავად, თუ ვაწყენთო. თქვენისთანების ლმობიერებამ დააქეთია ბრწყი-

წელიწადი წოდება. გულჩვილობა იქ, საცა შოლტი უნდა ტყლაშუნებდეს, შოლტი.

ელეფ. (გულგუთნით ხარხარებს)

მან. უმჯობესია სხვა საგანს შევცხოთ, სულ ერთია, ვერ მოვრიგდებით.

ელეფ. მეც მაგრე მგონია.

მან. მაშ, ვთხოვთ განაგრძოთ ის ამბავი.

ელეფ. ჰო, იმას მოგახსენებდით... უფროსი ვაჟი შარშან გამიგედა. ამ უბედურების გამო შემომეტალენ ნაცნობ-მეგობარნი და ოჯახიც უდაბნოდ მექცა. ამას მიუმატეთ დედისა და დის ერთი გამოუთქმელი მწუხარება და თქვენთვის ყველაფერი აშკარა შეიქმნება. ერთხელ, როცა შინ არ ვიყავი, იმ უბედურს აეღო ნაჯახი. დაეკრა დედისთვის თავში და იქვე მოკვდა. იმ წამსვე გონს მოსულიყო, თავზარ დაცემული გადავარდნილიყო ამ ფრიალი კონცხიდან აზვირთებულ მდინარეში და თავი დაეხრჩო.

მან. (წამოადგება და მთავი ელფიფერის) თ-დო! მიიღეთ ჩემგან გულწრფელი სამძიმარი,

ელეფ. (აწიანხარებს) გმადლობთ, დიდად გმადლობთ, მაგრამ უკაცრავად.—ვერნებ წუწუნით თავი შეგაწყინეთ. რას უხაზთ ბანო, უბედურებაში მყოფ კაცს, რომელსაც სწყურიათ გულის მოხება. შეიძლება ჩემმა აღსარებამ თქვენ უკანვე დაგახვიანოთ, მაგრამ ვალდებულად ვრაცხ თავს, ყველაფერი რაც ჩვენ შეგეცხება, თქვენთვის ნათელყოფთ, გიმეორებთ, — თუ კი თქვენს ვაჟს ჩემი ქალი მოსწონს და თქვენც არა გაქვთ რა საწინააღმდეგო, ჩემი მხრით დაბრკოლება არ იქნება. პირიქით, მოხარული ვარ, და ვფასებ კიდევ ამ განსაკუთრებულ ყურადღებას ჩემი ოჯახისადმი. სხვათა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ხვარაზე ნახად მყავს აღზრდილი, ის ჯერ სულ ბავშვია და იმედია თქვენსას არ დამეჩაგრება

მან. დავარწმუნებთ, რომ ის იქნება ჩვენი თვალის ჩინი და შუქმფენი ვარსკვლავი.

ელეფ. სრული იმედი მაქვს.

მან. ელფეთერ, ახლა ერთი გს მობრძანეთ... თქვენი უბედურების დასაბამი საიდან იწყება?

ელეფ. სოფ. ხარატიენში, ცოლის მხრიდან. ვაგეგვანებთ ალბათ თ-დ ხარატიენშილითა ვადანშენების ამბავი. ერთადერთი ცოლის ძმად მყვანდა მთელ გვარში—თ-დი ვიქტორი

და იმანაც ჩემი უბედურების წლის თავზე მოიკლა თავი, სავარაუდოა დამბაზით, რომელსაც ვინ იცის რადენი ვაცის სიცოცხლე შთაუნთქავს.

მან. ვიცი. იმ დამბაზის ამბავი ჩვენშიაც აშინებს ყველას. ვიცნობდი აგრეთვე თ-დ ვიქტორსაც.

ელეფ. საბრალო! იშვიათი გულის კაცი იყო, ჩვენ ყველას გიყვარდა. ნამეტნავად ჩემ რეზიკოს.

მან. ექიმს?

ელეფ. დიად.

მან. მისი ნახვა და გაცნობა ძლიერ მენატრებოდა.

ელეფ. მაგაზე ადვილი რაღაა?

მან. როგორ, შინ არის თუ?

ელეფ. დიად, დღეს დილით მეწვია ქალაქიდან. დაძინებული დავსტოვე, მხოლოდ არ ვიცი, ადგა თუ არა; ყოველ შემთხვევაში თქვენ იმას დღესვე იხილავთ.

მან. ოო, ეს კი ძლიერ მიამა. გული გაიმარებო! ნუგემად კიდევ გყოლიათ ორი მარგალიტი.

ელეფ. ახლა მართლაც მაგათ შეეხარი და ვფიქრობ, კვლავ აღარ გამწირავს ღმერთი.

მან. თქვენ შვილებს დიდი ხმა აქვთ გავარდნილი საზოგადოებაში. თ-დი რეზიკო ჩინებულ ექიმი თურმე.

ელეფ. რა მოგახსენოთ. ყველანი მარწმუნებენ, მცოდნე და სასარგებლო კაციაო და...

მან. თუმცა ის კი არ მომწონს, რომ თავისიანებს გლტვები ურჩევნიან თურმე.

ელეფ. რას უხამ ბატონო, თანამედროვე ახალგაზრდებს. „რწმენის საქმეა“, ამბობენ. ხახა-ხა!

მან. (განსვ) როზგები მაგათ, როზგები! (ელეფეთერს) წელან სოფლის ბოლოში ერთი მეტად ლამაზი და ახივანი ყმაწვილი შემხვდა, ვინ არის, თუ იცით?

ელეფ. ის იქნებოდა, ელიზბარ ყარაძია-შვილი.

მან. განათლებული კაცია?

ელეფ. დიად, აკრონომია. სხვათა შორის იმანაც განიზრახა ჩემი ქალის შერთვა, მაგრამ მე ცივი უარი მივაგებე ლ უკან დავახვიინე.

მან. კეთილშობილია?

ელეფ. საქმეც ეგ არის, რომ არა. გლეხია და ისიც ჩემი ნაყმევის შვილი, თორემ ბიქს არა უშავს რა...

მან. ახლა ისლა აკლიათ, თავადის ქალებშიაც შეგვეცილონ. ხა-ხა-ხა!

VI

იგინავე და სტენის სიღრმიდან შემოდინ რეზიკო და ხვარამზე

ელეფ. აი ჩემი ქალ-ვაჟი! (გაძნხას) გაიცანით! თავადი მანუჩარ გლოგოზაიძე. სხვა? სადა ყოფილხართ, შვილებო? მე შინ მეგონეთ.

ხვარ. ჩანჩქერთან ვიყავით.

ელეფ. კეთილი, კეთილი. იმედია სადილის შემდეგ სტუმარსაც გაასიერნებთ იქითკენ.

ხვარ. დიდის სიამოვნებით.

მან. დიდათ სასიამოვნო იქნება.

ელეფ. (მსჩუქრს) მოგეწონებთ. ჩვენი ჩანჩქერი საქართველოში პირველია.

მან. ექიმი გამხდარა.

რეზ. (განზე იტვირება. მსჩუქრას შენიშვნას გავუგონია)

ელეფ. ძლიერ მუყაითობს და იმის ბრაღია. რეზიკო, შენზე ვლახარაკობთ!

რეზ. (მამის შენიშვნას ეუფრადლებთ სტოეებს. უეცრად სთითუქნეს ამოადებს, მაგრამ ცარიელი დასწავება და ექსის) ხვარამზე! (ამ დროს ხვარამზე ვიბეზე ადის)

ხვარ. ბატონო!

რეზ. ჩემს ოთახში ბუხრის თავზე პაპიროსებია კოლოფში და გამომიტანე.

ხვარ. ამ საათში. (შედის სხლში თუ ვარ, წუთის შემდეგ ერთს სხვარად შეჭკეილებს და გამოადის კარში)

ყველანი (და მათ შორის როდამიდ) რა ამბავია? რა ამბავია?

ხვარ. მამა! ხარატინთ დამბაჩა ისევ აქ არის.

რეზ. { (შეწუხებული შებღზე იტაცებს ხელს) ახ!
ელეფ. { (შეერთება და უკან დაიხუჯს)
როდ. { (უეცრად ღოჭუხედ იტაცებს ხელს და გაშუღება)

მან. საბედისწერო დამბაჩა...

ელეფ. რომელიც ოდესმე მეც ყელს გამომაპრევიანებს, მაგრამ ელფეთერი მოსაობს მის სტენებს! (გაუშართება სხლასქენ)

რეზ. შესდევით მამა! დამბაჩა მე მოვიტანე.

ხვარ. { რეზიკო!
როდ. {

რეზ. ლეთის გულისათვის!

ელეფ. (ნერწყვა-გამწრდა) ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი ოჯახი. მე ის მოვიწორე ვითარცა წინამორბედი ჩემი დაქვეცის და ეს კი ისევ უკანვე მიბრუნებს. ვახ ჩემ სიბერეს!

რეზ. მომისმინეთ ბატონო! ვფიცავ სინდისს, რომ წინასწარ განზრახვით არა ჩამიდენია-რა. ყოველივე ჩემდა უნებურად მოხდა. ამით მე დიდათ ემყოფილი ვარ, რადგან ძვირფასი ვანძი, მეგობრისაგან ნაანდერძვე, ბეშობადანვე მიყვარს. ნუ თუ იმდენად უბედური ვარ, რომ ამის უფლებაც არა მაქვს? არ მეგონა, თუ ეს უბრალო გარემოება ასეთ გულისწყრომას გამოიწვევდა. ვსწუხვარ და ვეცდები, რითაც კი შემეძლება, უზრუნველყო თქვენი სულიერი სიმშვიდე. თქვენი შიში მოკლებულია საფუძველს. დამეთნხმეთ, ვითარცა ექიმი, რომ თუ ჩემში ხარატინთ სისხლი არა სჭქვეს, ეს უსულლო სავანი ვერას დაგაკლებთ. ახლა კი დიდი ბოღნიში სტუმრის წინაშე. ბატონო ჩემო! (თავს უკრავს მსჩუქრს, ისიც სამაგიეროს უხდას) მამ იმედია, მამა, რომ კვლავ მაინც არ შეეცებით მას და მით არც ამ უფერულ სიცოცხლეს მომიშხამათ, და არც ვიქტორის წმინდა სახელს შეურაცხყოფთ. (შედის სხლში)

ფ ა რ ღ ა

ტრ. რამიშვილი
(შეუღებო აქნება)

გიორგი ნაცვრამის სსოვნას

მაწყვიტა ზეტამ ედემს ყვაილი, უტბა... დავვიტკნო ვარდი—ბუჩქნარი, ნუჯემის მცემელს, ჩვენსა იმედსა, ფრთა შეაკვეცა, დაობლდა ქნარი!..

ულროდ წავგართვა მიწამ შეგ-ბნელმა, ჩიკრა გულში, დასამარა, — ბედო ტილო, რად გვილოატე, რისთვის დავვიშრე წყარო ანკარა?!

გ. შინიანი

* * *

ფარანი და...

შეიდა გამხდარ ძროხს!

ამათ შეესამის შეიდა მსუქანი ძროხა და მანც ისევე გამხდრები დაჩნებ.

ასე დაქსიანმა, მგონა, ფარანს?!

ჭო და შეშეთათა ფარანი... სიხმრის ახსნას თხოულობდა...

და კანმა, იოსებად წოდებულმა, ახსნა სიხმარი ესე.

ფარანმაც დაუჯერა და თვისი სიმეფო გადარჩინა უბედურებას.

ეს მოხდა უხსოვარ დროს!

ქართული თეატრი და...

რამდენიმე კარგი და ჯანსაღი ზეისა თან ახლდა ქართულ სცენას მისი არსებობის ზირველ ხანაში...

გვიდა ჟამი და გამოჩნდა სხვა ბევრი უგვანო „ზეისისებური“ ზეისა, —ამათ დაიჭირეს მათი ადგილი, მაგრამ მანც უგვანო „ზეისისებურ“ ზეისებად დაჩნებ. ქართული თეატრის ფარანებმა კეთილებადენ უველას ამ მოვლენის მიხედვით და ახსნას თხოულობდენ...

მაგრამ არ გამოჩნდა—უითარ ძველ დროში—კანც იოსებად წოდებული და ისე კი ვერ ახსნეს ამ მოვლენის მიხედვით მიხედვით.

ჭო და ქართული თეატრი გვეკითხება: „სად არის დასასრული მრავალ უგვანო „ზეისისებურ“ ზეისის და დასწეისი კარგისა და ჯანსაღისა“—ო? მხოლოდ ზსუხი ასეთია:

იყო ფარანი და...

მისი სიხმარა, რომლის ახსნის შემდეგ მან თავიდან აიღიანა უბედურება!

არისქართული თეატრი და?

აი ასეთი დიდი რომელსაც აუტელებელი სწორი და უტყუარი ზსუხი უნდა.

ზანო ბარველი

გ ა ნ თ ი ა დ ი

(გუბლენი კიკია-ფრეველას)

ცის წილი მზისა სხივით
გაფერადდა აღმასივით!
მთის ასულმა სიომ ნაზმა
ველს აპურა იაზმა!..

სხივსა შეჰყვეს იაღონი,—
ტრფობის ისრით განაწონი!..
და დილით მთათ გადაღმა
მზე მოსურავს, მოღის აღმა!

შორს წყვილიაღო, შემხუთველო,
ტანჯულთ გულის დამზახველო..
შორს ფიქრთ გუნდო და ნაღველო.
გაკამარევი შხამი გველო!..

გზა მიეცით დიად მნათობს...
მკერდს ნაწამებს ის გაათაობს!..

ვ. გორგაძე



ორიოდე სიტყვა კ. თოქსერაშვილის

კონცერტის დატასებამე

ბევრი სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა ბ. ფოცხვერაშვილის კონცერტზე და მის მუსიკალურ ნიღზზე: ერთი ამბობს—მშენიერაო, მეორე—მეტად სუსტიო, მესამე—ძალიან ვიანამოვნეო და სხ. რით არის მშენიერაო, ან სუსტიო, ან რამ გამოიწვია სიამოვნება (ეს-კი უფრო ადვილი მისხვედრია)— ზსუხის არ იძლევიან!.. მხოლოდ ვინმე „ბაბო“ გაუკეთა მოკლე კრიტიკული ტარევა, მაგრამ ვინ არის ეს „ბაბო“, რავენად შეგობილიან ვენდოთ მის მუსიკალურ ცოდნას—შეტეხას,—ესეც საიდუმლოებით არის მოცული!..

სხვის მთლიანია არც უნდა გეჭონდა...

ამ რადენიმე წლის წინად ბ. ი. გოგებაშვილმა მიმართა ქართველ საზოგადოებას მოწოდებით: ფოცხვერაშვილს დიდი მუსიკალური ნიჭი გამოუჩენია, როგორც რუსეთიდან გადამოგვესო, და სეული უნდა გავუმართოთ. ამაზე ბ. ფალაშვილმა საბუთიანა ზსუხი გასცა: დიდი სიამოვნებით, მაგრამ ჯერ ტავგეტებით, რამე გამოიხატა ეს დიდი ნიჭიო! მუსიკის ისეთ მტოდნე ზარს, როგორც არის ფალაშვილი, სხუანარა ზსუხის ცანცანც არ შეეძლო, თუ მოქალაქებრივი სიამაძე არ უმტყუნებდა. ჩვენდა სსიამოვნოდ ბ. ფალაშვილს სიამაძეც არ უდადაცა, თუმცა, როგორც მისდოდნეული იყო, კული გამოაბეს მის საბუთიან ზსუხს...

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ბ. ფოცხვერაშვილი ჩვენც ტავგეტნო თავისი ნაწარმოებით, ბევრი სხვა-და-სხვა აზრის რეცენზიებიც დაიბეჭდა,

მკრამ ვერც არ ვიტყვით: რა დირსება აქვს მის მუსიკალურ ნაწარმოებს, ან რა ნიჭი ემზნევა ბ. ფოცხვერაშვილს ამ დარგში!..

არც გასაკვირველია: უბრალო ლიტერატურულ ნაწარმოების კარგეაშინე-კი სსსცილო უმეტრებს ვიქნით და ვინ უნდა გარჩიოს, დააფასოს ჩვენში მუსიკალური ნაწარმოები, მუსიკალური ნიჭი?! ბ. „მათეს“ აღტატება — ვაცხნეუ მამა შენი, — ძლიან ვისინაოფნეო — მკერა, მკრამ ნუ გამიწურებას: ვერც „ანს“, ვერც „ბანს“, ვერც „ბახს“ და ვერც „მარს“ ვერ ვერწმუნებო!..

„შინაურეო“ კრიტიკა ლიტერატურაშიც სს-სცილო ხდება და მუსიკაში ხომ კანონით უნდა იეოს აღვრძაფუო!..

უგელას მეტად გვიანტრეკეს ჩვენი კულტურეო წინსულა და გვიანდა ვიტოდეო სინამდვილე: რა ნიჭის შატრანია ბ. ფოცხვერაშვილი, რას უნდა მოველოდდეთ მისგან და ფოველეიუე დახმარება აღ-მოვეუჩინოთ, თუ მისი ნიჭი მართლა დირს სეურადლებო გამოდგება!..


ემოციონური — ვაცხნეუ მამა შენი! — ჩვერ არ გვიანტრეკეს; არც „ანს“ და „ბანს“ კრიტიკა... მამ რა ვქნათ?..

გაკვირეუელი ვარ: სდ არიან ბ. ვარაშვილი, ფადაიშვილები, ან ისეთი შეკნეპული ადამიანი და ქართული სამდერებას მტოდნე, როგორც ია კარგარეთელია?! რატომ ხმას არ იდებენ?!..

თუკი ქართული სსხოვადება ასეა დაინტურესეპული ჩვენი ჰე-კარგანობით, რატომ არ მოაწვიეს განგებ ბ. ფოცხვერაშვილის კონცერტზე ჩვენი და უცხო ტომის მუსიკოსები? რატომ შირ-და-შირ ყოური არ შეადგისეს, რომ უგელას სარწმუნო რამ გვედინდა?!..

ამ შევლიმის გასწორება ძველი არ არის... .

ნ. შიუკაშვილი



ლ ბ ლ ბ დ ი

წამართო ყველა და ნუგეშად დღეს მართო ლა ცრემლი მე დამშფინის.

ი. პავლევიჩი

კვლავ შენთან მოველ... დენილმა სულმა ქვეყნად ვერ ჰპოვა თავშესაფარი; მენმა, ცის რისხვით თავს დაცემულმა, მურ დამინგრია წმინდა ტაძარი!..

და მის ნანგრევებს, ქვებსა და ლოდებს, ქვეშ მოპყვა ჩემი სალოცი ღმერთი; მას ჩემი გული მოსთქვამს და ჰგოდებს, ცას შეჰვლადებს „რისთვის და რათა“ მაგრამ არ სწვდება კითხვა არც ერთი. და სხვა კი, სხვა, ევ... ვინ შეგიოდებს?!... მხოლოდ ისევ შენ, მადლო შევენების, კვლავ შენ მოგმართავ, ცრემლით, ქვითინით, მომეცი ძალი უცვლელი ნების, რომ განვარძო სელო ელის გვირვინით. მამ მოველ შენდა, შე-არსთა ძალი, მოველ, თან მომამქს წამების ჯვარი; თავისუფლებავ, წმინდა ზე-ქალო, გამიდე დენილთ ტაძრისა კარი!..

ბილილა



დიქსია

(გაგრძელება იხ. „თ. და ცხ.“ № 23)

IV

გამოთქმა

თქვენ უკვე შეგიძლიანთ ტუბილად და მკაფიოდ გამოთქმა, არა ჰვლაბავთ სიტყვებს და ასოებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

როგორც ვსთქვი, როცა სუნთქვაზე ველო-პარაკობდი, ხმა არ უნდა იცვლებოდეს იმ დრომდე, სანამ აზრი არ გამოიკვლება. ე. ი. ყოველი აზრი თვითეულ ფრაზაში უნდა იყოს ნათქვამი ერთი ხმით, რადგან ხმის ინტონაციაზე დამოკიდებული აზრის გაგება მსმენელთა-მიერ, ხმა უნდა იცვლებოდეს აზრის დაგვარად. ძნელია იმის თქმა, თუ როგორ უნდა იცვლებოდეს ხმა, ე. ი. მადლო უნდა აღიოდეს თუ დაბლა ეშვებოდეს (crescendo, decrescendo). ეს დამოკიდებულია აზრსა და თვით ფრაზაზე.

ავტორის აზრების გადასაცემად, ე. ი. მის ნაწილის წასაკითხად, სათამაშოდ, საკმარისი არ არის წესების ცოდნა. „მსახიობმა უნდა იცოდეს უქველად წესები იმდენად, რომ შეეძლოს ყოველითვის უკუ ადგოს“ (ლეგუვი).

კარგი დიქციის სწავლა ლიტერატურულ მხრივ არ შეიძლება, ეს დამოკიდებულია თვით ინდივიდუალზე. სწავლით და შრომით შეიძლება აღამიანმა მიაღწიოს მხოლოდ ტექნიკურ მხარეს, როგორც, მაგალითად, სუნთქვის, ხმის და გამოთქმის შესწავლას, რაიცა შეეხება ენტელექტურ მხარეს, ამის სწავლა, ვიმეორებ, თვით აღამიანზეა დამოკიდებული.

ძალიან ბევრნი, მსახიობნი რასაკვირველია, ხშირად, თითქმის ყოველთვის, ჰყლაპავენ უკანასკნელ სიტყვებს ფრაზის ბოლოში; რაღა თქმა უნდა, ეს დიდი ნაკლია, რადგან ამითი აზრიც იკარგება ხშირად და სილამაზეც.

ყოველ ფრაზაში არის ერთი ან ორი „მნიშვნელოვანი სიტყვა“ (mot de valeur), რომელიც ცოტათი მალა ხმით უნდა გამოითქვას, ვიდრე დანარჩენი სიტყვები. ასეთი მნიშვნელოვანი სიტყვა ისე უნდა გამოითქვას, რომ მსმენელმა ძალით გაიგოს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყვირილით უნდა სთქვათ. ავიღოთ ერთი მაგალითი. „თავისუფლება რომალთ ისე ესმოდათ, რომ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო, სადაც ყველანი უნდა ყოფილიყვნენ კანონის მორჩილნი, სადაც კანონი აღამიანზე მეტი მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.“ (ბასქე). ცუდი მსახიობი ამ ფრაზას წაიკითხავს ერთის ხმით, და არც ერთ სიტყვას არ მისცემს ძალას, და ამ ფრაზაში კი არის ორი სიტყვა, რომლებიც უფრო ნათლად, მაგრად უნდა გამოითქვას, ე. ი. უნდა ამოიღოთ ეს ორი სიტყვა და გამოთქვათ ისე მკაფიოდ, რომ მსმენელი საესებით და ნათლად მიჰხედეს აზრს. ეს ორი სიტყვა არის **თავისუფლება**, და **კანონი**, რადგან მარტო ამ ორ სიტყვაზე არის დამყარებული მთელი აზრი ფრაზისა. მაშასადამე უნდა წავიკითხოთ:

თავისუფლება. (ეს სიტყვა გამოთქვით მეტის ხმით, უფრო მკაფიოდ, მაგრამ ყვირილით კი არა) რომალთ ისე ესმოდათ, რომ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო, სადაც ყველანი უნდა ყოფილიყვნენ **კანონის** (მკაფიოდ: კანონის), სადაც **კანონი** (აგრეთვე) და სხვა...

მეორე მაგალითი. ავიღოთ ი. ჭავჭავაძის ლექსი:

ტყემ მოისხა **ფოთლი**,
აგერ მერცხალი ჭყვის,
ბაღში **ვაზი ობოლი**
მეტის **ღხენითა** სტარის.

—
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულა საყვარლო
შენ როსლა აყვავდები?

ყველა მნიშვნელოვანი სიტყვა კურსივით არის დაბეჭდილი. მაგრამ, ვიმეორებ, ფრაზილა, ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან საზოგადოება არ უნდა ჰკრძალობდეს, რომ თქვენ „მნიშვნელოვანი სიტყვას“ უფრო მალაღის ხმით ამოვბოთ. რადენდაც აღვიღოთ ამ წესის გაცემა, იმდენად ძნელია მისი მოხმარება, რადგან არ არსებობს წესი, რომლის დამხარებით შეგვიძლია თავისუფლად იპოვოთ ეს „მნიშვნელოვანი სიტყვა“. იგი ხან ფრაზის ბოლოშია, ხან დასაწყისში, ხან შუაში. მის მოსაძებნად ერთად ერთი საშუალება, რომელიც დაგეგმარებათ, ეს მალა ხმით და დიდის ყურადღებით კითხვაა საქარო. ყური დაუდგეთ, რას ამბობს ეს უფრო აქ „მნიშვნელოვანი სიტყვის“ შესახებ: „მნიშვნელოვანი სიტყვას, როგორც მისი სახელი გვაჩვენებს, ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ გამოჩენილმა არნაღმა ეს სიტყვა ერთ ასოში გამოხატა. აი როგორ იყო. არნაღი თამაშობდა ჩემს ერთ-ერთ პიესაში. ერთ ადგილას მას ჰქონდა სათქმელი: „ოჰ რა ღონიერი ხარ“. და იცით როგორ სთქვა ეს ფრაზა? მთელი ხმა, მთელი ძალა მისცა ერთ ასოს **ო-ს** და სთქვა თუ არა ეს ფრაზა, საზოგადოებამ სიცილი ძლივს შესწყვიტა“.

გავთავებ ამ თავს იმითი, რომ მოვიყვანო ზოგიერთ დიდებულ პირთა აზრს დიქციის შესახებ.

რადენდაც უბრალოა ხმა და მოქმედება იქ, სადაც მხოლოდ უამბობენ რასმეს, იმდენად უფრო მეტად ააღვლევებს მსმენელს, როდესაც ხმა იცვლება მაშინ, როცა ენტუნაზმის და დიდის გრძობების გამოხატვა არის საქარო. ეს მუსიკასა ჰგავს. მთელი სილამაზე დიქციისა ხმის ინტონაციაშია, ტონის აწევ-დაწვევაში, რომელიც დამოკიდებულია ფრაზის აზრზე“.

„ადამიანი, რომელიც ყოველთვის ხმარობს ერთსა და იმავე ხმას, და ერთსა და იმავე მოქმედებას, ჰგავს მკურხნაღს, რომელიც სხვა-და-სხვა ავადმყოფობისათვის ხმარობს ერთსა და იმავე წამალს“. (ფენელან)

„სალღინი დიდებული მსახიობია, არც ერთი მისი ქესტი არ არის მეტი, არც ნაკლები, ავრედვე ინტონაცია მისი ხმისა. მისი თამაში ისეთი უბრალოა და ისეთი მართალი, რომ ადამიანს ტანში ყრუნტელს მოჰგვრის.“

ყველაზე ძალიან მის თამაშში გამაკვირვა იმან, თუ რანაირად უამბობს თავის ნათესავეებს, როგორ გამოიქვა კატორჯინა! (Mort Civile) უცებ დრამატიულ სცენის შუა იწყობა კომედია, ხმა დაიდაბლა, ასე ჰგონია ეშინიან არავინ გაიგოსო, ამავე ხმით ვაავრძელა მთელი მონოლოგი, და ბოლოს ხარხარით გაათავა: რა ყოჩაღად მოატყუო ენდარმები“ (ემილ ზოლა. Naturalisme eru Théatre. გვერდი 141).

„ნუ იქცევით ისე, როგორც ის ცუდი ორატორი, რომელიც იმის მაგივრად რომ უბრალოდ ელაპარაკოს თავის მსმენელებს, დეკლამაციობს. პირიქით ისე უნდა ელაპარაკობდეთ, რომ თვითმოდ თქვენს მსმენელს ეგონოს, თითქო მას ცალკე, უბრალო ცხოვრებაში ელაპარაკები“.

„კარგად შეამჩნიეთ რას სჩადის ადამიანი თვალებით, ხელებით, როგორ იცვლება მისი ხმა, როცა იგი იტანჯება რითიმე, ან კიდევ უკვირს რამე.“

თვითონ ბუნება არის თქვენი მსწავლელი, თვალყური ადევნეთ კარგა“. (ფენელან)

„ჩვენი ხმა იგია, რაც ქნარის სიმები. როგორც ყველა სიმი სხვა და სხვა ტონს აძლევს, ავრედვე ჩვენმა ხმამ უნდა მისცეს სხვა და სხვა ტონი: მაღალი, დაბალი, მედიუმი, ეს სამი ხმა ორატორისათვის ისევე საჭიროა, როგორც მხატვრისთვის სხვა და სხვა ფერები“. (ნიტერონ)

ბრუსელი (ბელგია)

გიორგი ჯაბადარი



* * *

ოხ, რად შეხებ ნორჩ ყვავილს ხელი, რად მომიწყვიტე ჯერ გაუშლილი, თუ არ იცოდი—მასზედ ეხატა იესოს მცნება,—მისი სახელი. ბალი უფარდოთ რა სახმარია? მისთვის უყვარდა იესოს ვარდი, რომ მისი ყნოსვით, სვედით ავადმყოფს, ოღნავ მოეშვა გულისა დარდი.

ოხ, რად შეხებ ნორჩ ყვავილს ხელი, რად მომიწყვიტე ჯერ გაუშლილი, თუ არ იცოდი—ღარბ ქობია ც ნიავს შექქანდა მისი სურნელი! და იქ თითქო ბავშვს დედის ძუძუსთან ტამრებს უკვებდა მის სუნთქვა ნელი... ოხ, რად შეხებ ნორჩ ყვავილს ხელი, რად მომიწყვიტე ჯერ გაუშლილი?!...

მიმქრალი

დაბა-სოფლები

ცხინვალი. 22 ივნისს თბილ. მსახიობთა მისწავლებლობით აღვლიდობრე სცენისმოყვარულ. თანამშრომლობით წარმოდგენილი იქმნა „ზატარა კახი“, აკავისა. კარგი გელა ეუო იმსხნელი და ზატარა კახი —ჟაუიქი; შეკუბითა ჩაატარა ავრედვე შეთვის რთლი კავშურნიქმ.

მ—ლი

დიდიჯიხიაში. 27 ივნისს ადგილობრე სცენისმოყვარულთაგან სეოდის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქმნა „არსენა“, დრ. 3 მოქ. ად. ჟახბუგის და „იჭიანინა“ ვოდ. 1 მოქ. ხალხი ბლთმად დავიწრო და ნასიამოვნებუბ დარჩა. ვუსურვებთ ადგილობრე ინტელიჯენციას შეტს მსხეობას და გარჯას.

ყიელიყო

ქუთაისი. 27 ივნისს ადგილობრე მსახიობთაგან ა. წუწუნავას რეჟისობობით წარმოდგენილი იქმნა კ. ფტცხერაშვილის სცენუბი „შენდა საქრთველი!“ ზიუსა მყურებულთა ერთს მსარეს ძლიერ მოქვანს, რთვორც ნამდვილი სურათი ჩვენის აწინდელის სტრუქტურების ცსოარების, ხოლო მერთე მსარეს ექვის... სიმაწოდის გამთამარავება. სხერთოდ ზიუსამ კაი შთაბეჭდილება მოახდინა: თუ-

ტრი სავსე იყო დამსწრე სპეციალდებით. განსაკუთრებით მოწვევიანი იყვნენ ბუკინი.

6ა — რი

ბ. ვანნაძინი (თელავის მხარე). 20 თვისის ადგილობრივ ქაინთის სისარტულოდ ენ. სლომე უანდიერის თასნობით წარმოდგენილი იქმნა „ქვანდელი სიყვარული.“ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, სუეტხოვო იყო შელქო აჟამიშუდოვი მოხუცო ტენურლის როლო.

დაიღლი ხლხი დაქსწრო, შორადანტეკი იუევი მოსულებო. წმინდა შემოსავალი 200 მსეთამდეა. დიდი მდღობის დირსია ენ. სლომე უანდიერის ამ კეთილი სქქმის თასნობისთავის და აგრედვე ევევას ისინი, ვინტ ხელი წამახსმარეს. განხრახელია წიკნო-საცვო სემკითხელოდ დაარსებო ვესურვებოტ გამარჯვებას.

3 — ელი

ხონი. შბათს, 26 თვისის ზირველად წარმოდგინეს ზონისთავის ახალი ზეის „ხალი“, 4 მ. დრ. ზლტონისა, თარ. ვ. შლეკაშვილისა. წარმოდგენამ სუერთოდ გვარანად ჩაიარა. კარგად შესარულა ვ. შლეკაშვილამ მოკეის როლი (გაკოტრებული ვაჟარი), სუეტხოვო იყო განსაკუთრებით მეორე-მესამე მოქმედებაში ისე თავისუფლად ეტარა თავი ვერ შეამჩნევლით, რომ სტენახედ არისთ იმდენად ბუნებრივი იყო მისი თამაში. კარგად შესარულა ბ. ნ. ვვარსკვი ტინთისის როლი, უფრო კარგი იყო მეორე მოქმედებაში დედის რომ ქვევას და ეუნებებს, რთ დედა მოკვდებოთ, ისე გრძნობიერად წარმოსთქვა, დამსწრე სპეციალდებს თვადებო აუტრემლას სუეტხოვოდ გადმოკვტა შლეკა გოკოლასშვილამ გაქქნილი ლქქას ეთოაქტევა მარეკლის როლოში. კარგები იყვნენ ს. ბუდე მდივანი გარადიგის-კუდინთისის როლოში, ბ. კუხეარაქ ნიკოტარს როლოში, ქ. თ. გოგოლასშვილი ემედიას როლოში, ქ. ნ. ჟავახიშვილი მართას როლოში. კარგად ასრულებდა ქ. ფ. ბსტცუკატას ასრულებო რომ არ ანებოდ, თლიას მკვიტრ კატას იძახდა და სს!

დანარჩენები ხელს უწყობდენ ახსაბდს. რეჟისორის მუშაობა ემჩნეოდა ჩვეინს სტენის მოკვარულთა და მსახიობთ, მკვრამ ერთი უნდა შეეინაშნო ბ. რეჟისორს, რომ ძველი-განკეთილი კალოში უნდა ეთივდებო, როდესც დედა ეუნებებს შვილს, როგორ გავტეკითა და წყალი შეკვო, კალოში-კი ახალი ეკვო. ეოველ წარმადს მნიშვნელობა აქვს, სკართა რეჟისორამ ეურადლებო მიაქცეოს.

ვეირას 27 თვისის „დაკლებული ფასებით“ წარმოდგინეს ცნობილი ზეის „ისინე ისრაილი“ 3 მოქ. დამთავის და ვოდევილი „ღარისპანის გასაქირი“ დ. კლდისშვილის. თუტვტ ვამოცნსადებული იყო დაკლებული ფასები, მკვრამ თითქმის ერთი და იგივე ფასები იყო. უტვტვტ უნდა მიეტეს ხელმოკლე ხალხს, რომ დაქსწროს წარმოდგენებს და შეეხვიოს თატრს.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით ბ. შლეკაშვილამ არჩინს როლოში თავის გრძნობიერ თამაშით დამსწრე სპეციალდებს აქქითისა, როდესც ზეტეს სოხოტს ზასუსს „რისთავს“ მეორე მოქმედებაში. კარგები იყვნენ ქ. ჟავახიშვილი, ქ. თ. გოგოლასშვილი და ბ. ვვარსკვი, არა უშავდა ბ. ილია რუხაძესც.

ბუკინი ზინს ვოდევილი სპეციალდებს განსაკუთრებით შლეკაშვილამ (ღარისპანის როლოში). მეორე შეინებნა ზოკვიტრ ვავბტონ—ქალბტრენების დალოტვილებო, როდესც მსახიობანი ტრადიკულ როლს ასრულებენ, მამინ აუტედებოთ სიცილი და არსიუთამის შდა. არსიუთამენ და ღაზარავბტენ, რითაც სხვა მსმენელი უშლიან.

შბათს „ხალხის“ წარმოდგენის დროს ადგილობრივი სტენის მოკვარული დამთვრადიოევენ და მათამ ხმაურობამ ეურთა შექნა წაიღო.

ა. პლემბიშვილი

ქ გიორგი ივანეს ძე ნატრაძე

ულმობელომა სიკვლილმა ჩენის მემუიკეთო გუნდით ერთი სასარგებლო მუშაკოვანი იმსხვერპლა.

1 ივლისს შუადღის მეთორმეტე სათბე ზლოდით ვარდიკვალა მუსიკოსი გიორგი ივანეს ძე ნატრაძე.

გ. 5—ძემ 8 წ. წინად გაათავა სწავლა მისიკოსის კონსერვატორიაში და სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა ერთენულ მუსიკის სასარგებლოდ შრომას.

შეკრებილ-კადრებ ული აქტს ხალხური სიმღერები და აგრედვე დასწერა საეურობო მუსიკოა თხულებანი დ. ნახტურიშვილისა და სხვ. სიტყვებზე. ამავე დროს იგი ვალობის მასწავლებლად იყო გამწახიასა, ჭვანთლებიან-სა, სამოქალაქო და დილარმინიულ საზოგადოების სკოლაებში. დილარ. ზაზო. სკოლის ინსპექტორის თანამდებობასაც ასრულებდა 1908 წლიდან უფასოდ.

მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლე (35 წლის იქნებოდა) განუწყვეტელი შრომა იყო: ქართულ ოპერის შესაქმნელი ემხადებოდა და საამისო მასალებსაც ჰკრებდა. ამ დღებში გერმანიაში აპირებდა წასვლას მუსიკულური მიზნით, მაგრამ აღარ დასცალდა.

ბუნებოთ ნიჭიერი, უანგარო, ჩემი, პატოლსანი, უწყყარო და თვადილი მუშაკი იყო...

დაუთეყარი იყოს ხსენება ვენი, უდროოდ გამქრალი, ძვირფასო მუშაკო გრიში!

— ი —

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

სსსსლ. გზე.

უოველ-დღ.
საოლიტიკ.
სალიტერატ.

ამოცემა, კვირული სურათებიანი დამატებით
წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ.
რედაქტ.-გამომცემელი დ. ხრამელაშვილი.სა
აღრესი: Тифлисъ, Большая Ванкская
ул., № 12, Сем. Пашалашвили.

სსსსლი გზე

უოველდღ.
საოლიტიკ.
სალიტერ.

გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით
4 მან. საზღვარ-გარედ 14 მან. ნახევარი წლით
7 მან. რედაქტ.-გამომც. ზ. ტყეშელაშვილი
აღრესი: Тифлисъ, тип., «Шрома»,
Кал. Кон. Цуладзе.

ЗАКАВКАЗЬЕ

Ежедневное издание.

За год въ Тифлисъ 6
руб. полгода 3 р. 50 к., въ другіе горо-
да—8 руб.,—4 р 50 к.—Тифлисъ Эри-
ванская площадь, д. Гургенова:

Ред-изд. Кн. Г. Г. Амирадзеиби.

НОВАЯ РѢЧЬ

Ежедн. общ.-полит.
литературная газета

На годъ 7 руб., 1/2 года 4 руб. помѣ-
сячно 75 коп. Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь».

Ред. Р. Д. Бебѣвъ. Из. П. А. Готуа

ჯეჯილი

საყმაწვილო სურათე-
ბიანი უფრნალი. XXI

წელ. წლიურად 4 მან. თითო წიგნი 40 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.- წერეთლისა

ნაკადული

საყმაწვე. სუ-
რათ. უფრნ.
წელ. VI.

24 წიგნი მყირე
წლო--თეის

12 წიგნი მიმბრ-
დილთათეის

4 პარიშითი. წლ. 5 მან. ნახევ. წლით 3 მან.
რედ. ნ. ნაკაშიძე გამომც. პ. ი. თუ—შვილი

სოფ. გლდანი

კვირას 4 ივლისს 1910 წ. თბილისის ქართ.
დრამატულ დასის მსა'ობთა და ადგილობ-
რივ სცენის მოყვარეთა თანამშრომლობით
წარმოდგენილი იქნება:

ყაჩალი არსენა

ანტრაქტებში დაუკრავს მანდალინისტა გუნდა
თვარეღაძის თათსნობით, წარმოდგენის შემდეგ


6 მ მ მ მ, იქვე ბუფეტო

ადგილების ფასი 1 მ.—10 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე
რეჟისორი ზ. საფაროვი.

გამგე დარია ხრამელაშვილისა

დ. სურამი



კვირას 11 ივლისს 1910 წ. თბილ. ქართ.
თეატოს მსახიობი ზ. მ. საფაროვი გამართავს წა-
რმოდგენას სალიტერატურო განუთფალებით

წარმოდგენილი იქნება

ჟურ დაიხოცენ

მერე იქორწილეს

კომ. 2 მოქ. რ. ერისთავისა

შინაწილით: ქ. ქ. ნებიერიძისა, სურამელი,
ბ. ბ. საფაროვი, ვ. ხანი, გორელი და სხვა.



თავიანთ ნაწარმოებს წაიწითხავენ თბილისი-
დან ჩამოსულნი ქართველი ახალ. მწერლები:
ია ეკვაძე, ირეული, დ. კასრაძე, ლ. მურტუ-
ველი, ი. ნაკაშიძე, ნარკანი, ვ. ხანი, ტ. რამი-
შვილი, ნ. ჩხაკაძე, ს. ყაფიანი—ადგილობრივნი:
ნ. გიგაურა, გ. მთაწვენიძე. ადგილების ფასი
30 კაპ.—2 მან-დე დასაწყისი საღ., 8 საათ.

ბალში დაუკრავს გურულების სამხედრო
მუსიკა. ბლუფები იუილება თეატრის კასში.

რეჟისორი ზ. მ. საფაროვი. გამგე ნ. რაუდენიშვილი

წერილი

მდინეულის, ხილეულის და სამკურნალო წყლის

ქ ა რ ხ ა ნ ა

მ. ლალიძის და ამხ-სა

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411

ჩვენნი ქარხნის წყლები

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წენით და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ «ფაკუმით» მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

მუშტარი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქარხნის



✠ მუშენიერის გამოსი და სუნეღაღისაა, ✠

და თბილისის სამკურნალო განყოფილების ანალიზითაც

✠ მისი კარგი ღირსება და ზილდოვებულია ✠

ამიტომაც ჯანმრთელობის გულისთვის ეს ქარხნა ურჩევს ბბ. მომხმარებელთ, უურადდება მიაქციონ რადგან ზოგაერთა ვაჭრები ჩვენის სახელით სხვა ქარხნების უფრო იაფსა და მამსკავსებულ წყალს ასადებენ.



მიათხოვეთ ეველგან მ. ლალიძის და ამხანაგობის წყალი

და ამასთან მიაქციეთ ყურადღება

თავსაცობი ჩვენი ქარხნის ბეჭდით

ქარხანა ხილეული წყლით წარჩინებული თვისებისთვის და ზილდოვებულია

ოქროს და ვერცხლის დიდი მენდლით

10-3

